

ლგბტქ+ თემი, აქტივიზმი და ფსიქიკური ჯანმრთელობა

თამთა ჭელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოტრავმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოტრავმის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020



განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: თამთა ჭელიძე

ხელმოწერა:

თარიღი:07/07/2020

აბსტრაქტი

პრობლემის აქტუალობა: ლგბტქ+ თემი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების რისკის ქვეშ დგას, რამდენადაც ის ექვემდებარება სტრესორთა კომპლექსურ სისტემას, გამომდინარე საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციიდან. ამიტომაც აქტუალურია მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა, ვინაიდან ეს მოგვცემს საშუალებას, ფსიქოსოციალური ზრუნვის სერვისები მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებს მოვარგოთ.

საკვლევი მიზანი: კვლევის მიზანია ლგბტქ+ თემის წარმომადგენლებში, კერძოდ, თემის აქტივისტ და არააქტივისტ წევრებში, ბავშვობის მძიმე გამოცდილებების, გავრცელებული ფსიქიკური აშლილობებისა და ამ აშლილობების განვითარების ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორების (ფატალიზმი, პროფესიული გადაწვა, აღდგენისუნარიანობა) კვლევა.

მეთოდი: კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი მიდგომა, კერძოდ - ონლაინ თვით-ადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 65 წლამდე 110 რესპონდენტმა. რესპონდენტები შეირჩნენ ხელმისაწვდომი შერჩევის პრინციპით. საკვლევი კითხვარი შედგენილია შემდეგი კითხვარების მეშვეობით: ბავშვობის მძიმე გამოცდილების კითხვარი ACE IQ, დეპრესია PHQ9, შფოთვა GAD7, პტსა/კომპლექს პტსა ITQ, ფატალიზმი MFQ, ემოციური გამოფიტვა MBI/emotional exhaustion component, აღდგენისუნარიანობა RAQ.

შედეგები: კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ თემში საკმაოდ მაღალია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების პრევალენტობა. ამ პრობლემებიდან მაღალი შფოთვა დადებით კორელაციაშია ფატალიზმთან, ხოლო დეპრესია - უარყოფით კორელაციაში აღდგენისუნარიანობასთან. ამ ორი ცვლადის კავშირი სხვა აშლილობებთან არ დადასტურდა. შერჩევის არც ერთმა წევრმა არ გამოავლინა ძლიერი აღდგენისუნარიანობა. კვლევითი ჯგუფის მოლოდინების მიუხედავად, ლგბტქ+ თემის შერჩევის აქტივისტები გაცილებით უფრო მოწყვლადი ჯგუფია,

ვიდრე არააქტივისტები, აქვთ უფრო მაღალი პრევალენტობა რიგი ფსიქიკური აშლილობების სიმპტომებისა და გაცილებით ნაკლებ შემთხვევაში ავლენენ არსებით ალდგენისუნარიანობას. კვლევაში დადასტურდა ცხადი კავშირი ალდგენისუნარიანობას, მაღალი საფეხურების განათლებასთანა და მაღალ შემოსავალთან. ასევე, დადასტურდა კავშირი ფატალიზმსა და საკუთარი გენდერული იდენტობის თუ სექსუალური ორიენტაციის დამაღვასთან, და კავშირი ემოციურ გამოფიტვასა და ნაწილობრივ ქამინგ აუთს შორის.

Abstract

Research relevance: LGBTQ+ community is under high risk of developing mental health conditions, since the community is affected by complex system of stressors, because of stigma and discrimination existing in the society. Therefore, it is extremely relevant to study mental health conditions of the community members, and plan psycho-social services according to this evidence and actual needs of the target group.

Research aim: Research aims at studying the LGBTQ+ community, in order to identify adverse childhood experiences, common mental disorders, and risk and safety factors for developing these disorders, such as fatalism, professional burnout, and resilience, within this group and its' activist and non-activist members.

Research methodology: The quantitative research was conducted through online self-administrative questionnaire. Totally 110 respondents within the age range of 18-65 were covered through convenience sampling. The questionnaire was compiled with following scales and instruments: Adverse Childhood Experiences International Questionnaire (ACE IQ), PHQ9 for depression, GAD7 for anxiety, International Trauma Questionnaire (ITQ) for PTSD and Complex PTSD, Multidimensional Fatalism Questionnaire (MFQ), Emotional Exhaustion Component of Maslach Burnout Inventory (MBI), and Resilience Assessment Questionnaire (RAQ).

Results: Research showed high prevalence of mental health conditions within the sample. Out of these conditions high levels of anxiety is in positive correlation with fatalism, while depression is in negative correlation with resilience. High resilience was not shown in any member of the sample. Research demonstrated high vulnerability of activists, in comparison with non-activists, having higher prevalence of mental health conditions and much lower resilience. The research demonstrated high positive correlation between higher levels of education and financial income, with substantial resilience. Also, higher levels of fatalism among those members, who have not revealed their gender identity or sexual orientation, as

well as higher emotional exhaustion among those, who only partially revealed their identity and orientation.

საკვანძო ტერმინები:

ლგბტქ+ თემი; აქტივიზმი, ალდგენისუნარიანობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ბავშვობის მძიმე გამოცდილებები, დეპრესია, შფოთვითი აშლილობა, პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობა, კომპლექსური პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობა, ფატალიზმი, ემოციური გამოფიტვა.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი კვლევის ხელმძღვანელ, ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს, გამოხატული ნდობისა და კვლევითი მიმართულების მიცემისთვის.

ასევე განსაკუთრებული მადლობა თანასწორობის მოძრაობის გუნდს, განსაკუთრებით, იასონ შინშიაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

ედვინება სალომეას და ყველას, ვინც არ ეპუება.